

საქართველოს
ახალგაზრდა მწვანეები



პოლიტიკური კლასიფორმა

მიღებული:
თებერვალი 2019

რუსთავი

1. მდგრადი მომავალი

1.1 „ახალგაზრდა მწვანეები“ მივიჩნევთ, რომ ბუნების კომერციალიზაცია

არაგონივრულია. საჭიროა ამგვარი მიდგომის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა ადამიანის ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება უტოპიურ იდეად არ დარჩეს.

1.2 თანამედროვე მსოფლიოს განვითარების პარადიგმა — კაპიტალიზმი, გარემოს მიმართ საფრთხის შემცველია. მდგრადი განვითარება წარმოუდგენელია სოციალური უთანასწორობის, იმპერიალისტური გლობალური ეკონომიკის, კულტურული ჰომოგენიზაციის, პატრიარქატის, ცენტრალიზებული მმართველობის ფორმის, რესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკისა და ადამიანზე მოურგებელი ურბანული პოლიტიკის პარალელურად.

1.3 „ახალგაზრდა მწვანეები“ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას გარემოსა და მომავალი თაობების წინაშე. გამომდინარე აქედან, როგორც ორგანიზაციული, ისე საზოგადოებრივი და ინდივიდუალური აქტივობები მიმართული უნდა იყოს გარემოს დაცვასა და გაუმჯობესებისკენ.

1.4 აუცილებელია ბიომრავალფეროვნებისადმი რაციონალური მიდგომა. ფლორისა და ფაუნისადმი ექსპლუატაციური მიდგომის აღმოფხვრა / მინიმუმამდე დაყვანა.

1.5 ახალგაზრდა მწვანეები მივიჩნევთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკური კურსი უნდა მოიაზრებდეს წინსვლისა და განვითარების ისეთ სტრატეგიას, რომელიც გარემოზე არ დატოვებს ნეგატიურ კვალს და იქნება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული.

1.6 სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული განახლებადი ენერჯის გამოყენების პრაქტიკის დანერგვასა და სამომავლოდ განახლებადი ენერჯიებით სრულად ჩანაცვლებაზე, რისთვისაც აუცილებელია, შექმნას პირობები საზოგადოებრივი და ტექნოლოგიური მზაობისთვის.

1.6.1 განახლებად ენერჯიაზე ტრანზიციის მიმართული უნდა იყოს არა კომერციული ინტერესების დაკმაყოფილებისკენ, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი თემის საჭიროებებს და მაქსიმალურად პასუხობდეს დეცენტრალიზაციის პრინციპებს. განახლებადი ენერჯიებით შექმნილი „მწვანე სამსახურებით“ სარგებელს უნდა იღებდეს ადგილობრივი თემი და არა დიდი კორპორაციები.

1.7 გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, უნდა ხდებოდეს ეკო-მეგობრული ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია.

1.8 არაგონივრული სამომხმარებლო კულტურის საპირწონედ, უნდა მოხდეს არსებული რესურსების მაქსიმალური ათვისება რესურსების გადამუშავებისა და კვლავ გამოყენების საშუალებით.

2. დემოკრატიული ჩართულობა

2.1 „ახალგაზრდა მწვანეები“ აქტივიზმს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მივიჩნევთ. ვაღიარებთ განათლებისა და საჯარო ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების მნიშვნელოვნებას. მხარს ვუჭერთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობასა და აქტივიზმის პოპულარიზაციას.

2.2 სოციო-კულტურული ნორმებით გამოწვეული და გამყარებული სისტემური და სტრუქტურული იერარქიები უნდა გაუქმდეს. ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ თვითრეალიზაციის სამართლიანი პირობები და საშუალებები. მოქალაქეები წახალისებულნი უნდა იყვნენ, ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებსაც მათ ცხოვრებაზე პირდაპირი გავლენა აქვს.

2.3 ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის

ფუნდამენტური ნაწილია. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მაქსიმალური გასაჯაროება. მედია არ უნდა იყოს მიკერძოებული და უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გავლენებისგან.

2.4 ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და დაუშვებელია ადამიანის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გავრცელება.

2.5 ციფრულ ინფორმაციაზე წვდომა ადამიანის უფლებაა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ციფრული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. ინტერნეტი უნდა იყოს უსაფრთხო სივრცე და მისი მოხმარების წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური თუ კორპორაციული ინტერესები.

2.6 საქართველოში მცხოვრებ ყველა პიროვნებას უნდა ჰქონდეს საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვის სრული შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, მანიფესტაციის უფლება უნდა შეიზღუდოს მაშინ, როცა იგი შეიცავს მუქარას ან მიზნად ისახავს სხვის შევიწროვებას.

2.7 სახელმწიფო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს პარტიულ პოლიტიკაში და წარმომადგენლობით ორგანოებში ქალების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა დისკრიმინირებული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლობას.

3. საზოგადოებრივი პოლიტიკა და მშვიდობა

3.1 ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს მშვიდობისა და არაძალადობის პრინციპებს.

3.2 „ახალგაზრდა მწვანეები“ ვენინააღმდეგებით სახელმწიფოს მიერ შიდა უსაფრთხოების არგუმენტის გამოყენებით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მასიურად და ინდივიდუალურად დარღვევას როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ სივრცეში. მიყურადება, თვალთვალი და პირადი ცხოვრების ხელყოფა დაუშვებელია.

3.3. „ახალგაზრდა მწვანეები“ ვენინააღმდეგებით პოლიციის მილიტარიზაციას, ტერორისა და მუდმივი გარეგანი თუ შიდა საფრთხის პოლიტიკის გატარება-განხორციელებას. პოლიცია არ უნდა იყოს კონტროლისა და დაშინების მექანიზმი.

3.4 თავდაცვითი სტრუქტურების გაძლიერება არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო პრიორიტეტს და რესურსები მიმართული უნდა იყოს კონომიკურად და სოციალურად თანასწორი საზოგადოების შექმნისკენ.

3.5 სახელმწიფო არ უნდა ისწრაფოდეს ტრანსსახელმწიფოებრივ სამხედრო ინსტიტუციებში გაერთიანებისკენ და უარს უნდა ამბობდეს ნებისმიერ სამხედრო ოპერაციაში ჩართვაზე.

3.6 სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს სეკულარობას. სახელმწიფოს და რელიგიური ინსტიტუტების საქმიანობები უნდა იყოს მკვეთრად გამიჯნული.

4. სოციალური სამართლიანობა

4.1 „ახალგაზრდა მწვანეები“ მივიჩნევთ, რომ ადამიანის ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული უფლებები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. დღევანდელი ეკონომიკური სისტემა — კაპიტალიზმი კი სოციალურ უთანასწორობაზე, მომხმარებლურ კულტურასა და უპასუხისმგებლო ფინანსურ ზრდაზეა დამყარებული. ამ რეალობასთან ბრძოლით ჩვენ უკეთეს გარემოსკენ ვისწრაფვით, სადაც დომინანტი ჯგუფები არ განსაზღვრავენ სხვების უფლებების რეალიზაციის პირობებს.

4.2 „ახალგაზრდა მწვანეები“ ვუერთდებით ბრძოლას ისეთი ეკონომიკისთვის, რომელიც აღმოფხვრის კაპიტალისტური სისტემის მიერ გამყარებულ კლასობრივ უთანასწორობასა და ჩაგვრას. ბოლოს მოუღებს მსხვილი კორპორაციების მანიპულაციასა და მათ გავლენას მსოფლიო, განსაკუთრებით კი — განვითარებადი ქვეყნების, ეკონომიკასა და

ცხოვრების ხარისხზე.

4.3 ყველა მოქალაქეს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანდაცვაზე, განათლებასა და ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო უფლების რეალიზების საშუალებებზე. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ისეთი ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან გადანაწილებას და არ დააკმაყოფილებს მხოლოდ ერთეულების სურვილებს, განსაკუთრებით შრომით ბაზარზე.

4.4 სოციალური სამართლიანობა უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი სოლიდარობისა და აქტიური თანამონაწილეობის პრინციპს.

5 თანასწორობა

5.1 თანამედროვე საზოგადოება პატრიარქალურ და ჰეტერონორმატიულ ღირებულებათა სისტემაზეა დამყარებული, რაც გარკვეული ჯგუფების დომინირებასა და საზოგადოების პოლარიზაციას იწვევს. შესაბამისად, „სხვებად“ მიჩნეულ ადამიანებს ფუნდამენტურ უფლებებს ართმევს.

5.2 ჩვენი უმთავრესი პრინციპია ადამიანების თანასწორობა მიუხედავად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის, სქესის, სექსუალობის, გენდერული იდენტობის, დამატებითი საჭიროებების, ასაკის, მრწამსის, რასობრივი თუ ეთნიკური კუთვნილებისა.

5.3 „ახალგაზრდა მწვანეები“ თავს ფემინისტური და ქვიარ მოძრაობის ნაწილად მივიჩნევთ და მიზნად მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და პერსონალურ ემანსიპაციაში აქტიურ მონაწილეობას ვისახავთ. ქალებისა და ქვიარ ადამიანების მიმართ ფსიქოლოგიური, ვერბალური, ფიზიკური, ეკონომიკური თუ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს პოლიტიკური დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი.

5.4 „ახალგაზრდა მწვანეები“ ვეწინააღმდეგებით უფლებების ჰეტერონორმატიული წესრიგის მიხედვით გადანაწილებას და ჩვენს პასუხისმგებლობად მივიჩნევთ ქვიარ ადამიანების უფლებების ადვოკატირებას. საქართველოში მცხოვრებ პიროვნებებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ, აირჩიონ და გამოხატონ საკუთარი გენდერული და სექსუალური იდენტობა თუ სექსუალური ქცევა.

5.5 „ახალგაზრდა მწვანეები“ ვიბრძვით სექსიზმის, რასიზმის, ეიჯიზმის, ეიბლიზმის, ჰომოფობიის, ტრანსფობიის, ქსენოფობიისა და კლასობრივი ექსპლუატაციის წინააღმდეგ.